შაბათი, 1918 წ. მკათათვის 13 № 137

წლიწადი მეოთხე

შაბათი 1918 წ. მკათათვის 13 № 137

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ; რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერი მოკლედ უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილს უნდა ახლდეს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმნიშვნელო გასწორებანი რედაქციას ეკუთვნის. დაუბეჭდავი ხელნაწერი არ ინახება და რედაქცია არ კისრულობს ავტორთან მიწერ-მოწერას მის შესახებ.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. ხელნაწერების საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ხაზით თვით დაკლიერება—18 მ. თვეში (ყოველთვიურად) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის მეორე გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ ძვირი. ხანმოკლეთათვის განცხადება თითოეული ზომით 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. ხანგრძლივი განცხადება ყოველ ქაღალდში 1 მან. ქაღალდებით 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სამგლოვიარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრა დავითის ასული ჯორჯაძისა შვილებიაღმართ: მიხეილ, მინა, ბარბარე, ბასიკო, ელისაბედ და რძალი ნინა გრიგოლის ასული ჯორჯაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრა მიხეილის ძე**

**ჯორჯაძე**

დაკრძალვა სოფ. გორგმში, შაბათს, ივლისის 13-ს

კვირას, 14 ივლისს თ-დ ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე

**სიდამონ ერისთავის**

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ დილის 11 ს. გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული სიდამონ-ერისთავისა 1—1693—1

შაბათს, 13 ივლისს 1918 წელს

**იხსნება პირველი ხარისხის სასადილო**

**„საქართველო" ყოფილი „ამირანი"**

**პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში**

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეთებით

დაუკრავს ხიმებიანი ორკესტრი.

სადილი უზადლის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სასუარიული აზიური და ევროპიული, სასმელები კითდება საუკეთესო მახალიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

**ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს**

**რომ მისგან დანიშნულია**

**კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის**

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევს 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

**გერონტი ქიქოძის წიგნი**

**„ეროვნული ენერგია"**

**წერილების კრებული**

მაროვნულ დემოკრატ ახალგაზრდათა ორგანიზაციის გამოცემა. გაიყიდება დაახლოვებით მაღაზიებში პირველ რიცხვებში 3—3

**ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან**

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც სურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, სავაჭრო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და გაესუბრონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

**საქართველოს მეურნეთა კავშირის**

გამგეობა აუწყებს კავშირის წევრთ, რომ კვირას, მკათათვის 14-ს დილის 11-ს საათზედ ხაზინის სათავადაზნაურო ბანკში (ბარიათინსკის ქ. № 5) დანიშნულია პირველი

**საზოგადო კრება**

კრების წეს-რიგი: 1) მოხსენება საორგანიზაციო ჯგუფის, 2) კავშირის წევრთა არჩევა და 3) საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატების არჩევნები 4—1693—2

## ჯადოსნური წრე

ერთი წლის დამოუკიდებელი მწარე გამოცდილება საკმაო არ შეიქნა ჩვენი სოციალისტური მთავრობისათვის და ის ჯერ კიდევ ვერ ჰპოულობს გეზიმად დამდგარს გარკვეულ სახელმწიფოებრივ მუშაობას.

განყენებული აზროვნება, განუხორციელებელი ოცნებები, ისევ ძველი, გაცრუებული იმედების ხელის ჩაჭიდება ჯერ კიდევ ჰქვებავს და ასაზრდოებს ჩვენს პოლიტიკას.

როგორ ჩავქროთ, ანარქია, ჰკითხულობს სოციალდემოკრატების გაზეთი, ესე იგი თვით მთავრობა. როგორ აღვადგინოთ მშვიდობიანი მოქალაქეობრივი ცხოვრება, სასამართლოს ძალა და მთავრობის ავტორიტეტი? ამ კითხვებზე ისევ ძველებურს პასუხს გვაძლევენ, თუმცა ამ ერთი წლის განმავლობაში საკმაო მრავალი შემთხვევა გვქონდა გაგვეგო თუ რამდენად უხდება ჩვენს დამოუკიდებელ სინამდვილეს [illegible].

ეროვნულ-დემოკრატების მთავრობით უნდათ სოფლის დაწყნარებაო, გვიკიჟინებს სოციალდემოკრატების გაზეთი. ეს არ არის მართალი. მთავრობას გამეფებას ჩვენ არ ვცდილობთ, არამედ წესიერების, კანონის სამართლის. კანონისა და სამართლის დასამყარებლად შესაძლოა მთავრობაც იქნეს საჭირო, თოფი და ზარბაზანიც, ხოლო, როდესაც ქვეყანაში დამკვიდრდება წესიერი მმართველობა და სასამართლო, მთავრობა და თოფი ნაკლებად იქნება საჭირო.

ეხლა კი რას ვხედავთ? მთავრობასაც ბლომად ხმარობს ჩვენი მთავრობა და თოფ-ზარბაზანსაც, მაგრამ ამას სასურველი შედეგები ვერ მოაქვს. ერთს ადგილას ჩააქრობენ ანარქიას, მეორე კუთხეში იჩენს თავს, შესამეში და ასე მუდამ. ცხრა თავიან გველეშაპივით ანარქიას რამდენს თავს წასჭრიან, მას იმდენი ახალი თავი ამოსდის.

რით აიხსნება ეს? მხოლოდ იმით, რომ ანარქიის ჩასაქრობად მარტო ძალა არ არის საკმარისი. საჭიროა აგრეთვე სისტემა, წესი, გეგმა.

დაამარცხებენ ბოლშევიკებს, თუ „კონტრ-რევოლუციონერებს" იარაღს ჩამოართმევენ ზოგიერთებს, შემდეგ მიტინგს გამართავენ, ხალხს აუხსნიან პოლიტიკურ მომენტს, რეზოლუციას მიიღებენ მთავრობის დამორჩილების შესახებ, მეთაურებს აპატიმრებენ და ანარქიასთან საბრძოლველად მთავრობის დახმარებას დაიკისრებენ. ასე სრულდება სოციალისტური ექსპედიციები. რა გასაკვირველია, რომ ამის შემდეგომ იგივე მეამბოხენი ხელმეორედ გამართავენ ახალს აღლუმს და მათი მეთაურები უფრო მეტის მომზადებით შეუდგებიან ახალს საქმეს?

ასეთი წესით ანარქია არ ჩაქრება, წესიერება არ დამყარდება. როდესაც რომელიმე კუთხეში მთავრობა ანარქიას ჩააქრობს იარაღით და მთავრობის ძალას განამტკიცებს, მას დაუზარებლად უნდა ჰქონდეს თავისი მმართველობის აპარატი, რომ იქ დადგას. მას კი არა გააჩნია-რა გარდა რეზოლუციისა და სამიტინგო სიტყვისა, რაც ქარია და ქარს მიჰყვება.

ანარქიის ჩაქრობის შემდეგ ისევ ეს უნიჭო კომისრები, რომელნიც ხალხს მეტად მოაბეზრდა, ისევ ენა-წყლიანი ემისრები, რომელნიც მიტინგების მართვით ანხორციელებენ მიწის რეფორმას, ისევ სასურსათო კომიტეტები, რომელთაც განამტკიცეს საშინელი სპეკულიაცია და მონოპოლია და თვითვე გადიქცნენ სპეკულიაციის ბუდედ—და ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ანარქიას ერთს თავს რომ წასჭრიან, მას მეორე გამოებმება.

სოციალ-დემოკრატები ეხლა კიდევ ჰფიქრობენ, რომ მიწის საკითხის გადაწყვეტა ჩააქრობს ანარქიას. კეთილი, მაგრამ, როგორ გადავჭრათ მიწის საკითხი ასეთ საშინელს ანარქიაში? მიწის საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ანარქიის ჩაქრობა და ანარქიის ჩასაქრობად თურმე კიდევ მიწის საკითხის მოგვარება.

ასეთია ის ჯადოსნური წრე, რომელშიაც მოექცა ჩვენი მთავრობა. ჩვენ მას მიუთითებთ ერთს კარებს ამ წრიდან გამოსასვლელს, მაგრამ ის თვით [illegible] რეფორმების შეჩერება და მთელი ძალღონით წესრიგის აღდგენა, ადმინისტრაციის აპარატის შექმნა და სასამართლოს ძალის აღდგენა.

## რა მოსპობს ანარქიას.

„ერთობის" გუშინდელ ნომერში ამავე სათაურით მოთავსებულია მოწინავე, სადაც ავტორი გვაცნობს საქართველოში მომქმედ პარტიათა შეხედულებებს თუ რა მოსპობს ანარქიას. ასეთი საკითხის გარჩევაში ოპოზიციის მეთაურს ჰმართებს მეტი ანალიზი და მიუდგომლობა. თუ მართლა გული შესტკივა ავტორს ჩვენ ქვეყანაზედ, საჭიროა დაივიწყოს დროებით მაინც რომ იგი არის რომელიმე პარტიის წევრი და მოკელიბს როგორც ქართველი და არა მხოლოდ მენშევიკი. ავტორი აცნობს მკითხველებს, რომ ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვენ მთავრობას და ძველ წესწყობილების ბოქაულებსო, და ეს ხომ ისეთი რამ არის რომ ჩვენ ვერ ვიკადრებთო, ამისთანა საშუალებები მათთვის (ეროვნ.-დემოკრატებისთვის) დაგვიტოვებიაო. ავტორი ალბად გუშინდელამდის საქართველოს გარეშე ცხოვრობდა და არ იცის რა ხდება საქართველოში. ჩვენ მოვაგონებთ რომ ის მთავრობა, რომელიც მან ჩვენ დაგვიტოვა დიდი ხნით გახურებული ტრიალებს საქართველოში და მას ატრიალებს ნეტარი ქვეყნის მთავრობა, მთავრობა მენშევიკური. მთავრობამ მთავრობით დროებით ჩააქრო ანარქია გორის მაზრაში, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, ახალზუთში, თელავში, ბორჩალოს მაზრაში; აქრობენ რაჭა-ლეჩხუმში, საჩხერეში, დუშეთში, თიანეთში და ჩააქრობენ იმავე მთავრობით საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი იჩენს თავს ჩვენი სამშობლოს დამღუპველი ანარქია. და თუ ანარქია მაინც საბოლოოდ ვერ ჩაქრა, ამის მიზეზი კიდევ სხვაა.

როცა „ერთობა" სწერს მთავრობაზედ, რასაკვირველია ჩვენ პირდაპირ არ გესმის ეს სიტყვა, არამედ ვგულისხმობთ ძალდატანებას და ძალდატანება კი განუყრელი ელემენტია სახელმწიფოს მცნებისა. „ერთობის" მთავრობა მაშასადამე არის ძალა მთავრობისა და თუმცა ერ.-დემოკრატებს მთავრობაზე არას დროს არ უწერიათ, მაგრამ მთავრობის მიერ ძალის ხმარებაზედ, სადაც იგი საჭიროა სწერდნენ ეროვნულ-დემოკრატები და მენშევიკებიც, როცა ამას იზიარებდნენ და ასრულებდნენ, ამას კარგი შედეგები მოჰქონდა.

მაშასადამე მთავრობამ რომ ძალა იხმაროს სახელმწიფოს მოღალატეთა წინააღმდეგ ეს მის პრესტიჟს აწევს და არ დასწევს.

მართალია ძველი მთავრობაც ხმარობდა ხოლმე ძალას, მაგრამ იგი ხმარობდა ძალას ცუდის განსამტკიცებლად და ჩვენ კი უნდა ვიხმაროთ კარგის განსამტკიცებლად. აქედან სჩანს, რომ უარყოფა სახელმწიფოს მცნების იმ ელემენტისა (ძალდატანებისა) იმიტომ რომ ხსენებულ ელემენტს ძველი მთავრობა ბოროტად იყენებდა ნიშნავს გონების მოუმწიფებლობას და არა გონიერებას და პოლიტიკურ მიჯულობას.

„ერთობის" [illegible] რომ ერ.-დემოკრატებს სურთ აღადგინონ ძველი წყობილების ბოქაულებით. ეს დასკვნა ალბად იქიდან გამოჰყავს ავტორს რომ ჩვენ არ მოგვწონს ახალი წყობილების ბოქაულები (კომისრები—კომისართა საფრანგეთში ეხლაც უძახიან ბოქაულს) ასეთი დასკვნაც არაგონიერებას ამტკიცებს ავტორისას. ძველი ბოქაული არ მოგვწონდა მიტომ, რომ იგი ერთგული ბონა იყო ნიკოლოზის და შოლდაწყობდა ჩვენი ხალხის საზარალოდ. ეხლანდელი კომისრები თუმცა ბოქაულის სახელს აღარ ატარებენ, არამედ ფრანგული სახელი დაირქვეს, მაგრამ უარესები არიან ვიდრე ძველი ბოქაულები. მრავალ მაგალითებიდან მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ახალ კომისრების მოღვაწეობიდან. ქარელის კომისარმა შეადგინა თავისი შტატი ათეულ მილიციონერით. მილიციონერებმა დაადგინეს (აღთქმა) რომ სულ მეტის წესიერების დაცვით და მიჰყვეს ზოგიერთა მათგანმა ხელი ბოროტმოქმედებას. ეს იყო შარშან აგვისტოში. სკრასა და ქარელს შუა, რკინის გზის ერთ პატარა საყარაულოში მცხოვრებ მეისრეს შეაგულეს 800 მან. „ვიღაც ყაჩაღებმა". ღამით დაეცნენ, ფული ვერ გაიტაცეს და მეისრეს ცოლი დამცემთაგანი ხანჯლით დასჭრა თავში. როდესაც ხალხი შეიყარა და კომისარმა ვერ „აღმოაჩინა" მძარცველი, მაშინ მეისრემ გაბედა და კომისართან მდგომ მილიციონერს მოჰხადა ქუდი და ხალხს შესძახა: აი ჩემი ხანჯლის კვალიო. მილიციონერი ყაჩაღი დაიჭირეს და გორში გაგზავნეს, იქიდან გამოუშვეს, მერე ხალხმა რომ ნახა არა სჯიანო სოფლამდე ჩააქვავეს.

ერთი ცნობილი კომისარი გორისა, როგორც მთავრობასაც და მენშევიკებმაც იციან იყო ორგანიზატორი გორის ყაჩაღ მძარცველთა. მძარცველები დღისით ციხეში უსხდა და ღამით „ამუშავებდა". ეს გაუგეს და გორის ჟანდარმების დროს კოლექტივში (მენშევიკების) დიდი უსიამოვნება მოუვიდა ამხანაგ კომისარს თავის კოლეგებთან და გაზეთების ცნობით „თავი მოიკლა". მთავრობამ ისიც იცის რომ რაიონის კომისრებზე პროტ-

# ოზურგეთის რკინის გზის საქმე

ნიკო თავდგირიძემ მოხსენება წარუდგინა მთავრობას გურიის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებული აღნიშნავს, რომ გურიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იგი ამ ქამად საქართველოს ყველა სხვა კუთხეებზედ მეტად გაჭირვებულია. რაც უნდა დიდი სარგებლობა მოუტანოს მთელ საქართველოს აგრარულმა კანონმა, გურიას ის დიდს ვერაფერს შესძენს. მიწები მემამულეების მიწა ფაქტიურად დიდი ხანია მშრომელ სოფლელების ხელშია, მაგრამ ეს მათ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ბათომის დაკარგვის შემდეგ გურიას მოუსპა ერთად ერთი ასპარეზი შრომისა და შემოსავლისა. ბათომის დაკარგვას გურულები თან და თან უფრო და უფრო იგრძნობენ; ამიტომ მთავრობა ვალდებულია შინ, თვით გურიაში გაუჩინოს გურულ მშრომელ ხალხს საშრომი საქმე და შემოსავლიანი წყარო; ამ მიზნით წინადადებას იძლევა ნ. თავდგირიძე გაკეთდეს რკინის გზა ოზურგეთიდგან შეკვეთილამდე—შავის ზღვის ნაპირამდე, საიდაც ბათომის დაკარგვის შემდეგ [illegible]

[illegible]

ბა მალე გაქართულდეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრივი დაწესებულება. ამას მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესი და არა ქართველი მოხელეების. ქართველ მოხელეთა უმრავლესობა ისე არის რუსულ ბიუროკრატიისაგან გადაგვარებული, რომ მათთვის არ არის ხელსაყრელი დაწესებულებათა გაქართულება. ამ მოხელეებში ჯერ ერთი, ხშირიანად არც კი იციან ქართული ენა და მით უმეტეს ქართულად საქმის წარმოება. მრავალი ქართველი მოხელეები არც თუ თვით მეფურობის დროს ცხოვრობდნენ ცუდად. ამ გვარ ქართველ გადაგვარებულ მოხელეებზედ ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი გაზ. „ბორბასთან“ ერთად ქვასა და გუნდას აყრიან ყველა იმათ, ვინც კი კრინტს დაძრავს სახელმწიფო დაწესებულებათა გაქართულებაზედ. მაგრამ არიან ახალგაზრდა მოხელენი, რომელთაც გული შესტკივათ სამშობლოზედ. ისინი ხედავენ რომ დაწესებულებათა ისევ ძველებურად დარჩენა ძირს უთხრის სახელმწიფოს კეთილდღეობას, ხალხში სახელს უტეხავს, და მოითხოვენ მსწრაფლ გაქართულებას. განა ეხლა უმაღლესი თანამდებობანი საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებებში ქართველებს არ უჭირავთ? ტყუილად ჰგონია „ბორბას“, რომ თუ მოხელეთა კავშირი მოითხოვს დაწესებულებათა გაქართულებას, უეჭველად მისთვის მოითხოვს, რომ თავის წევრები დააწინაუროს. არა, მოხელეთა კავშირს ჰსურს მართვა-გამგეობა ხალხს დაუახლოვოს. აი თუნდა პაწია მაგალითი. ამ ორი დღის წინად ქიზიყიდან ჩამოვიდა სოფლისაგან გამოგზავნილი ორი გლეხი 50 ფუთი კანაფის სასყიდლად. დიდის ვაივაგლახით მიაგნეს სასურსათო კომიტეტს, იქიდან ისინი გაგზავნეს ქართველ „მიწის“ მინისტრთან. მინისტრის მორიგე „ბარიშნას“ მოახსენეს თავისი გარემოება და სთხოვდნენ მინისტრთან მიეყვანათ. მორიგე ბარიშნამ ვერაფერი გაიგო და იქ დამსწრეთ სთხოვა დახმარება, გლეხებს ეჭვი დაებადათ, რომ ისინი ქართველ მინისტრთან მივიდნენ და შეეკითხნენ დამსწრეთ, ისინი მართლა ქართველ მინისტრთან მივიდნენ თუ არა. ნუ თუ არ შეიძლება, რომ იმ „ბარიშნის“ მაგიერად ქართულის მცოდნე იყოს სადმე და ქართველ გლეხს შეეძლება ჰქონდეს თარჯიმნის დაუხმარებლად გზა გაიკვლიოს ყველა დაწესებულებაში? ნუ თუ მორიგე „ბარიშნობა“-ც დიდი მოხელეობაა? „ბორბა“ გვარწმუნებს, რომ არ შეიძლება ქართულად წარმოება საქმეებისა, მომზადებული ხალხი არა გვყავსო. რუსეთის მთავრობაც ასე არწმუნებდა გლეხებს—ბატონ-ყმობიდან ვერ გაგანთავისუფლებთ უსწავლელები ხართო. გაქართულებით დაწესებულებანი და მცოდნე ხალხიც გამოჩნდება. მაგრამ მაშინ „ბორბა“-ს მკითხველი მოხელეები ხომ უსაქმოდ დარჩებიან?

ქართველი მოხელე.

## ეროვნული კონცერტი

ხუთშაბათს 9 ივლისს სახელმწიფო თეატრში გამართული იყო ეროვნული კონცერტი, თვით პროგრამა კონცერტისა შემდგარია გონივრულად და წარმოადგენს სრულს მუსიკალურ გამოფენას. ამ კონცერტმა დაგვანახა ჩვენი ერის სულიერი სიმდიდრე რამდენადაც იგი გამოიხატება ერის მუსიკალურ შემოქმედებაში.

დაშქერული კ. ფოცხვერაშვილისა—ხალხური მელოდიაა, მაგრამ კომპოზიტორს არ შესწევს ნიჭი, რომ მან ფერთად გაშალოს მუსიკალური აზრი. „ალი ფაშა“ ზ. ფალიაშვილისა ფერ არის ტიპიურად გამოღებული ხალხურ კილოდან და გუნდმა სუსტად შეასრულა. რონდომ (აკომპანიმენტი) ძალიან ლინჯი ტემპი აიღო და უფრო ეკლესიური ხასიათი ჰქონდა ვიდრე ენერგიული სწრაფი და სიცოცხლით სავსე ხასიათი...

„შვლისანი“ დ. არაყიშვილისა კარგად იყო შესრულებული მხოლოდ უშვილოსოთ, „სამშობლო ხევსურისა“ მ. ბალანჩივაძისა „თამარ დროში“ თემაზედ არის შემუშავებული უფრო მკაფიო და სილამაზით შექსოვილია ბალანჩივაძის რომანსები. გ. ჯაბადარის ნიჭის დაფასება ძნელია ამ ერთი რომანსით, მით უმეტეს, რომ ეს არის მისი პირველთაგანი ნაბიჯი. „მრავალ ჟამიერ“ ა. ყარაშვილისა კარგათ, ხმოვანად არის დაწერილი იგი.

ჩვენ აქ გვსურს მკითხველის მეტი ყურადღება მივაქციოთ ნ. სულხანიშვილის მუსიკას. ეს კომპოზიტორი არის ტიპიური გამომხატველი ერის ცხოვრების სულის-კვეთებისა. „მესტვირული“ დაგვიხატავს სრულ სურათს რაჭველ მესტვირისას შეზავებულ და დამუშავებულ ჰარმონიით, „მაშ გამარჯვება“ კახურ ქეიფს კულტს. „გუთნური“ თვალ წინ წარმოგვიდგენს გუთნის მუშაობას—ფიზიკურ ტანჯვა-ვაებას, ბეჯითს შრომას. მის ფორმას, რიტმ-ტაქტს და თუ მის განვითარებას ადევს გონივრული, ლამაზი და ფაქიზი ბეჭედი. სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა“ მართლა „არ გაიცვლება სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. აქ გამოიხატება სამშობლოს სიყვარული, ქართველის ზნე ჩვეულება.

შემსრულებელთაგან ამ კონცერტში აღსანიშნავთ ქ. კალანდაძეს. ამ უკანასკნელს აქვს ტემპერამენტი და ხმის ფერადობა-გამომეტყველება, რომელიც მომღერალს სცენის მიჩვევის და სერიოზულ მუშაობით მიეცემა. ხმა კარგი და ლამაზი აქვს. ივ. სარაჯიშვილი ამაზედ იყო და სასურველად ხელი შეუწყო კონცერტის სილამაზეს და შინაარსს.

სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი გაძლიერებული იყო სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა გუნდით.

ეროვნულმა გუნდმა ჯკვე კარგი სახელი დაიმსახურა ჩვენ საზოგადოებაში. კონცერტმა სოლიდარულად და მშვიდობიანად ჩაიარა. ხალხი კონცერტს ბლომად დაესწრო.

მსმენელი.

## კორესპონდენცია

### გორის მაზრა

ერთი დღის მოგზაურობამ დამარწმუნა, რომ გორის მაზრაში მოსავალი საშუალოა. ქერები ჯკვე იკრიფება, პურიც ამ კვირეებში გაიკრიფება. ვისაც სარწყო აქვს წელში გასწორდება. მუშაობა გაჩაღებულია, თუმცა მამაკაცების ნაკლებობა ძალიან ეტყობა. სოფლად მეომრეები სრულებით აღარ არიან. იმათი ნახნავ-ნათესი ჯერ ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. ზოგი დაბრუნებულა პირნახულის მოსავლელად, მაგრამ მუშის სიძვირე უძნელებს საქმეს. „ან 20 მან. ან 20 გირვ. პური (ერთი ჩანახი) დღეში“. კვლავ ამ დროს მანქანებიც მუშაობდენ, მუშა ხელიც ბევრი იყო და კიდევ მოსულ მუშას იჭერდენ, რომ მალე დაებინავებინათ მოსავალი, ახლა კი სოფელი ნებას არ აძლევს პატრონს უცხო მუშა დაიჭიროს—უსათუოდ ჩვენი სოფლის მუშა უნდა იყოსო; მეტადრე ეხლა რამოდენი ლტოლვილები დადიან და სამუშაოს ითხოვენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ანარქიას გლეხკაცობა თავისებურად ჰხსნის. დუშეთის ამბებს და ლეჩხუმისას მჭიდროდ აკავშირებს მიწის საკითხთან. ერთმა გლეხმა ასე ამიხსნა: თურმე წითელი გვარდია და მთავრობის ჯარი იარაღსა ჰყრის გლეხობას და ნაყიდობის ქაღალდს უხევს ე. ი. საკუთრებასა სპობენო, ამიტომაც ჩვენი ახრის (ფრონის ხეობის) ქართველობა და ოსები ბევრი აწევიდა ლეჩხუმში მისაშველებლადაო.

სოფელი სრულიად მოწყვეტილია ცენტრს, არც ერთი ცნობა არ მოდის ნამდვილი: ამბის მომტანი ჟინმე სპეკულიანტი, რომლებიც სოკოებსავით გამრავლდნენ. იმის მიხედვით, თუ მას რა უფრო აინტერესებს, ისე გადაჰქონის ფაქტებს. დღეს იტყვის მთავრობა გადმოქრებათ მთელი პირნახული ჩაგვებარეთო, ხვალ იტყვის თავადაზნაურობას თათრები მოჰყავს, რა არის პირნახული იაფად ჩაიდეთ და სხვ. სოფლის ხალხს ამ ჟამად ფული არა სჭირდება, სოფელი ფულით გავსილია. მიწა, რომლის შესაძენადაც გლეხკაცობა წლობით ფულს იდებდა, ახლა საკმარი მოეპოვება, მხოლოდ ტანსაცმელი ძალზედ იშოვება, ამოვადა შინ აქვს, ისე რომ მას ფულით ვერ დაამარებენ, და ვერც აიძულებენ პური გაყიდოს.

ზოგიერთმა პირებმა მაზრის სასურსათო კომიტეტისაგან ნებართვა აქვს მიღებული კომიტეტის საჭიროებისათვის სურსათის შეძენისა.

ეს გარემოება ლითი და პირ-ნახულის ფასს ძალზე წევს და სადამდის მივა არავინ იცის. ის პური რომელიც ამ ორი წლის წინად 70—0 კაპ. ფუთი იყიდებოდა ფუთი. ახლა ადგილზედ იყიდება 110—120 მან. ამტომაც იყო რომ თვით მინისტრს გუშინ კომისარების „დამხმარებას“ დეპირეს რომ როგორმე ცოტა პური იყიდონ, რის ვაი-ვაგლახით და ადმინისტრაციით ერთი ვაგონი მოგროვდა 90 მან. ფუთი. პური და ქერიც ამიერიდან გინდათ ახლა ყიდვით ვერ იყიდით.

სიმინდის მოსავალი კარგი პირი უჩანს თუმცა ცოტა წვიმება აწუხებს. საერთოდ ამ ხეობას სიწყნარეა.

მიწის მომწყობი კომისსია ახლა ბრუნში მუშაობს. ქმედიც მალე გადმოვა; შემომყოლეებმა კომისიას ჯერ ვერიდებიან, რადგან რაიმე გარანტია არა აქვთ რომ ათვეიშულ მათგანს არ მოჰკლავენ, როგორც ეს მოხდა ამ დღეებში ს. ჭალში (ამილახვრის ცოლი მოკლეს).

შინაური.

რედაქ. ჟურნ. „ARS“. ბოლოკინის ქუჩა № 9.

## სურათების გამოფენა
### ლადო გუდიაშვილისა და ალ. ბაჟბეუკ-მელიქოვისა.
ღიაა 9—2 და 4—6 ს. 8—1964—3

# სავაჭრო სახლი
# საგენტო საქმისით

აწარმოებს აგენტურო-კომისიონერ ოპერაციებს იღებს საკომისიოდ ყოველნაირ საქონელს, ჰქმნის სავაჭრო ხელშეკრულებებს, აწყობს სავაჭრო ამხანაგობებს, ათავსებს თანხებს, ავრცელებს სავაჭრო ფირმების განცხადებებს და ასაღებს იმათ საქონელს. სავაჭრო სახლს „საგენტო-საკომისიოს“ ჰყავს აგენტები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთელი ამიერ კავკასიის და რუსეთის ყველა ქალაქებში. მისამართი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახ. № 10, ტელეფ. № 12—92. ტელეგრ. მისამართი: თბილისი, „ტორგოკომ“. განყოფილება ქ. ქუთაისში ერთად-ერთ წარმომადგენელი გ. ი. გოგელია. მისამართი, ქუთაისი, საოცხელიასი. 2—1

## თბილისის ქალ. თვითმართველობის

საადმშენებლო განყოფილება აცხადებს, ამ შაბათს 13 ივლისს შუადღის 12 საათზედ, ხელმეორედ დანიშნულია ტორგი მიხ. პროსპექტ. მოკირწყვლისა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 10—2 საათამდის და—8 ს. სალ. (ახალ დროთი.

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის გა-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიცემა და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 1—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 ამ მომარიგებელ მოსამართლის დარბაზში.

## ქართველ მეტყევეთა ამხანაგობა „ქართიადის“ გამგეობა

ამით აუწყებს თავის სრულუფლებიან დამხმარე ამხანაგებს დაუყონებლივ წარმოადგინონ ხელფასის შემოტანა 15 ივლისამდე, რადგან ამ რიცხვიდან შეუწყდება ფულის მიღება. ფულს იღებს კერძო ლომბარდში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე გამგეობის წევრი კ. ი. თულაშვილი.

განთიადის გამგეობა: კ. მ. ამირეჯიბი, დ-რი ი. ს. ელიაშვილი, კ. ი. თულაშვილი. საქმის გამგე კ. ი. ყავრიშვილი 3—2

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და მესამე რიგისა 50 მან., ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნული 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ბბ. ავტომობილების და ცხენების პატრონთ, თბილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში ამ დღიდან შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს.

(4—981—4)

# მოითხოვეთ სამკურნალო
# ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელნი მიწად-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დადებით და ნისიად წყალი არავის გაეგზავნება. შეკვეთების დაუყოვნებლივი მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომის კანტორა „ბორჯომექსპორტი“. 10—973—9

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის
# ორგანიზაციის გამგისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღიდან ძალადაკარგულად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგნაირად:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დარჩენილი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან მოყოლებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო რაიონის კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. დ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 სად. შინაგანი, ბავშვების, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სისხლის ცოდვის (?) ეკლესიის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

## მ. ი. ხანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპიით) სამშობიაროით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღის ქუჩა № 22.

ექიმი

## მ. წინამძღვრიშვილი

თინათინობით და მკვნთავეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ მ. მ. მძინარიშვილის და დ. გ. ნაზარიტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს ქბილის საექიმო კაბინეტი ბეელთებურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კირონიი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირონიის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ლარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს სიფილისის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვის მერიდიანი“ ტელეფონი 14—23.

გაიხსნა

## თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)

# ექიმი დონხონისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

## მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

უმეცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ № 17—21.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრო-ტერაპია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ი—1586—44